# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 15231789**

თარიღი:**27/06/2023**

**ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ. N7-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე გურამ ჩიგოგიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე**

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. გურამ ჩიგოგიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ.N7-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მემორიალური დაფის განთავსებას, თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს შპს რადიო ჰოლდინგი „ფორტუნა“.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი